# სახალხო გაზეთი

№ 1130 — სამშაბათი, 4 მარტი 1914 წ. — № 1130

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდდინი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური სა პოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


ოთხშაბათს, 5 მარტს, წმინდა მარინის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი

## მღვდელ ზაქარია მიხეილის ძის გულისაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მისი ქვრივი პარასკევა ნიკოლოზის ასული შვილებითურთ, ძმები და რძლები მისი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, შემდეგ წირვისა გადაიხდიან პანაშვიდს განსვენებულის საფლავზე. 147

---

გულ დათუთქული ამხანაგი ქალები: ზილანიშვილი, გურგენიშვილი, გოცირიძე, დვთიკაშვილი, დიმიტრიშვილი, კენჭაძე, ნაცვლიშვილი, სულთანიშვილი, ოქროპირიძე, ჩიკვაიძე, დიდის მწუხარებით იუწყებიან, რომ პირველ მარტს, დილის რვა საათზე, გარდაიცვალა მათი გულითადი და დაუვიწყარი მეგობარი, ქართველ ქალთა სკოლის მოწაფე

## ანნა მინდიაშვილი

გამოსვენება დღეს, 4 მარტს, (ყაზბეგის ქუჩა № 27). დილის 9½ საათზე. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 146

---

## ქართული თეატრი

ტელეფ. № 705.

ხუთშაბ., 6 მარტს, 1914 წ. ქართ. დრ. საზ. დასის მიერ

## კაპელდინერების საბენეფისოდ

ქ-ნ ნ. ჩხეიძისა, კ. ყიფიანისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენ. იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილ-იუჟინისა:

## ლალატი,

დრამა 5 მოქ. თარგ. გრ. ყიფშიძისა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყ. სწორედ სად. 8 ს. ✦ ადგილების ფასი საბენეფისოა.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

---

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში

სამშაბათს, 4 მარტს, სახ. სახ. არს. ქართ. სატ. წარმ. მმართ. წრის მიერ დამსახურებული მსახიობის კ. დ. ყიფიანის 45 წლ. სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით

## ხათაბალა

კომ. 4 მოქმ. სუხოვო-კობილინისა თარგ. ი. მაჩაბლისა.

• დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი 5 კ. 1 მ—დე.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. რეჟ. თანაშ. ალ. გოგუაშვილი.

ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინისტრაცია.

თუ ვინიცობაა სურვილი აქვს ვისმეს რითიმე მონაწილეობა მიიღოს ხსენებულ საიუბილეო წარმოდგენაში, გამგეობა გთხოვს წინადვე აცნობოთ მას ამ მისამართით: მიხეილის პროსპექტი, № 102, გამგეობის კანტორა. 1002

---

## ახლად გაიხსნა

## სასტუმრო სასადილო

## „სინათლე"

სასტუმრო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანი მოპყრობა. სადილის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

ყოფილი „სი ცილია" და „არარატი"

1077 პატ. ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოსები".

---

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა,

განდეგილი. ლექსები ტფ. 1898 წ. 50 კ.
— ლექსები და მოთხრობები 50 „
გლახაშვილი. თანამედროვე პიესები 1908 წ. . . . . . 30 „
— დალი, დრ. 3 მოქმ. 1912 წ. 20 „
გულისაშვილი ი. ორი პიესა 1895 წ. . . . . . . . . 50 „
წერეთელი აკაკი. თხზულებანი ტ. 1-ლი 1893 წ. . . 1 მ.— „
— ტ. 2-ე — „ . 1 მ.— „
— ჩემი ნაწერები ტ. 1-ლი 1912 წ. . . . . . . . . 75 „
— „ „ ტ. 2-ე 1913 წ. 75 „
— იგავ-არაკნი . . . . 50 „
— თორნიკე ერისთავი 1908 წ. 35 „
— ჩემი თავგადასავალი 1903 1 მან.
— კიკოლას ნაამბობი „ 20 კ.
— ბაში აჩუკი „ 30 „
— ოთია მესხი და ბეჟურიშვილი . . . . . . . 10 „
— ნათელა 1911 წ. . . . . 20 „
— ქართველ. ганმ. ნინო . 10 „
— თამარ მეფე . . . . . 5 „
— ოცნება 1913 წ. . . . . 10 „
— ვაჟრული ქალა 1903 წ. 5 „
— ბაგრატ დიდი 1911 წ. 10 „
— ყვითელი სანთელი 1896 წ. 10 „
— რჩეული ლექსები 1908 „ 10 „
წერეთელი გ. ჩვენი ძველი გმირები ტფ. 1898 წ. . . . . 30 „
— თხზულებანი ტ. 2-ე 1893 60 „
ჭყონია ილია. ნაწერები ტფ. 1913 წ. . . . . . . . 1 მან.— „
ქორჩაძე გ. თხზულებანი ქ. 1913 წ. . . . . . . . . 75 „
ჭავჭავაძე ალ. ლექსები 1881 წ. 30 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. гр. н. гр. гр. нас.
1072

---

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

---

## ახალი კლუბი

სამშაბათს, 4 მარტს, 1914 წელს.

## საოჯახო საღამო

მეორე წარმოდგენა ცნობილ ოპერეტკის მეფეთ ცნობილის

## ნ. გ. სევერსკის

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ახალი ბოშების გაპიროვნებული რომანსები" მუსიკალური მოზაიკა ნ. გ. სევერსკისა. დასასრულ გაიმართება კ ა ბ ა რ ე. 1052.

---

## გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ზინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914". 1088

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქვხენიცვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვერცხლის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფედოროვი ი. გ. ყოველ დღე, 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარქოზოვი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ი. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ—2 ს. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ. | ჯაჯახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოვი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| ფილტვის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

---

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინაძის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

## წამლობა „914".

1023

---

## ამა წლის 9 მარტიდან გამოვა

ყოველ-კვირეული იუმორისტული კარიკატურებიანი ჟურნალი

## ☛ ლახტი ☚

დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, სცენები დღევანდელ პირ-ვარამზე, იგავ-არაკები სხვა-და-სხვა საგნებზე, სუსხიანი კორესპონდენციები, სურათები გამოჩენილ პირთა და მოღვაწეთა, კარიკატურები და გასართობები.

ხელის მოწერა: წელიწადში 2 მ. 50 კ., ცალკე ნომერი 5 კაპ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

მისამართი: Тифлисъ, Мухранская ул. 12. журналъ „ЛАХТИ".

1086

---

## სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელაძე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგოსევსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

გოროხოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გნუჩევი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ახპიხოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალიამპარიოვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

სათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისადა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისის სისხლის გამოკვლევა. 1082

---

## საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

---

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

## სამკურნალო

## ქალ. ბაქოში

## მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1084

---

## ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი

გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388.

1053

---

ექიმთა საზოგადოების

## სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აგაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაგაქიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914", „606". 1040

---

## ექიმი პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

---

ნაძალადევში

## ექიმი ი. რ. სურგულაძე

ხუდადოვის ქ., 4.

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

---

ქ. გორში

## ექიმი ვ. დ. წინამძღვრიშვილი

(დოკტორანტი).

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

---

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

## ბ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1087

---

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: გასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

---

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

787.

## ქართული პრესა

„ბათუმის გაზეთის“ უკანასკნელ ნომერში ფრიად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი მაჰმადიან ქართველი ქალისა. წერილის დამწერი მოკლედ აგვიწერს მაჰმადიან ქალის ყოვლად აუტანელს და საშინელს მდგომარეობას და მწარედ ამბობს:

განა ჩვენ ადამიანები არა ვართ? განა ჩვენში ადამიანური გრძნობა არ სუფევს ისე, როგორც მამაკაცებში? განა ჩვენ გაჩენილი ვართ მხოლოდ მამა-კაცების მონებად? არა, ჩვენ მამაკაცების მონებად კი არა, დედებად და მეუღლეებად ვართ გაჩენილი. განა ჩვენისთანა დედებმა არ აღზარდეს მაჰმადი და ისეთ, რომელებმაც სიყვარული და თანასწორობა უანდერძეს კაცობრიობას და მისცეს მას უდიდესი სულისა და გონების საზრდო? განა მათს მოძღვრებაში ქალების დამორჩილება, დამონება და წამება სწერია სადმე? სრულიადაც არა. ჩვენ ქალები მამაკაცების მონები და მათი ფეხქვეშ სათელი კი არა, მათი ცხოვრების შეგნებული და სწორუფლებიანი თანამგზავრნი უნდა ვიყოთ. ჩვენი დამცირების, დამონავების დ დაბეჩავების მაგალითად ჩაითვლება ჩვენი ჩადრებით დაბურვაც. რატომ არ გვანებებენ ჩვენი მამა კაცები პირის გამოჩენას? რატომ ვართ ჩადრში დაბურული და მოკლებულნი დღის სინათლეს? ზოგიერთი ჩვენი ხოჯა მოლები ამბობენ და კაცებიც იმეორებენ, რომ, ქალებმა რომ პირი აიხადონ, ეს ცუდათ იმოქმედებს მამაკაცებზე, რადგან ვნებათაღელვას იწვევენ და ქალებმა ამით არ უნდა ჩააყენონ ისინი ასეთ მდგომარეობაშიო. ვთქვათ რომ ეს ასეა, მაგრამ განა ქალები მოკლებულნი არიან მგრძნობელობას, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ? რატომ მამა კაცები არ იფარებენ პირზე ჩადრს? რატომ გვამზერინებენ ჩვენ ჩადრიანებს სახეზე? თუ კი ჩვენ გვიქადაგებენ ზნეობის დაცვას, ამ სახით, რატომ თითონ არ იცავენ ასეთ წესს? მაგრამ არა. ამაოა ეს კითხვები. ჩვენ მაჰმადიანი ქალები კარგად ვგრძნობთ, რომ აქ საქმე გვაქვს ძალმომრეობასთან და მონობასთან, რაიცა ნაანდერძევი აქვს ჩვენს ქმრებსა და მამებს უმეცრებისა და უკულტურობისაგან; რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ის, რომ საშუალო და უმაღლეს კურს დამთავრებულნი ჩვენი დები განათლებული მუსულმანი ქალები ჩადრებით აღარ იბურავენ პირი სახეს.

დასასრულ წერილის ავტორი მხურვალედ მოუწოდებს მაჰმადიან ქართველს დედებს:

„ჩვენი ქართველი მაჰმადიანი ქალების მოვალეობაა ჩვენი შვილები ავღზარდოთ დროის შესაფერად, ჩავუნერგოთ მათ გულში მძულვარება იმ მონობისა და დამცირებისადმი, რასაც ჩვენ განვიცდით, რომ იქნებ მათ მაინც დააღწიონ თავი ამ მდგომარეობას.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ისტორიული ტერიტორიის მოტრფიალენი მარტო ჩვენში არ არიან. წინად ყოველს პოლონელს უცილობელი მრწამსად მიაჩნდა სრული ისტორიული პოლონეთის აღდგენა. პოლონელი ვიწრო ნაციონალისტები მოითხოვდნენ, რომ პოლონეთის სამეფო უნდა აღდგენილი ყოფილიყო უთუოდ წინანდელ საზღვრებში, მიუხედავად იმისა, ამ საზღვრებში სცხოვრობენ თუ არა დღეს თვითონ პოლონელები. მაგრამ ცხოვრებამ და სინამდვილემ გამოაფხიზლა ასეთი ნაციონალისტები და დღეს მარტო სოციალისტები და მემარცხენეები არ ემხრობიან რეალურ პოლონეთს, არამედ თვითონ ზომიერი და ვიწრო ნაციონალისტებიც კი იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ ისტორიული პოლონეთის დაცვა ოცნებაა, რომელიც ეხლანდელს ვითარებას ოდნავადაც არ შეეფერება.

ამ დღეებში გამოვიდა წიგნი პოლონელ ნაციონალისტის იანკოვსკის სახელად „პოლონელი ხალხი და მისი სამშობლო“ ამ წიგნში ავტორი ამბობს, რომ პოლონელი ერი მოკლებულია სამშობლოს სახელმწიფოებრივის აზრით.

„სუვერენული ერისათვის სახელმწიფოს საზღვარი იმავე დროს სამშობლოს საზღვარია; პოლონელებისათვის კი სამშობლო მხოლოდ პოლონური მიწაა, ის ადგილები, სადაც პოლონელები უმრავლესობას შეადგენენ“.

წინად პოლონელი ნაციონალისტები იმას ქადაგობდნენ, რომ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა განაპირა ადგილებში, სადაც პოლონელები სულ მცირე რიცხვს შეადგენენ და ჩვენს პოლიტიკას დავუმორჩილოთ სხვა ერებიო. დღეს კი იგივე ვიწრო ნაციონალიზმი იანკოვსკის პირით აღიარებს, რომ ასეთი მუშაობა სრულიად უნაყოფოა და მავნებელიცაა და მთელი ძალ-ღონე იმას უნდა მოვანდომოთ, რომ დავიცვათ რეალური პოლონეთი და აქ გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ პოლონური კულტურაო.

პოლონელების მიერ გავლილი გზა ის გზაა, რომელიც უნდა გაიარონ ისტორიული საქართველოს მოტრფიალე ჩვენებურმა ნაციონალისტებმა. განვითარების საფეხურები ერთიმეორეს ემსგავსებიან სხვა და სხვა ქვეყანაში. საქართველოს ისტორიული საზღვრების ძიება მხოლოდ ჩვენი ეროვნული თვითშეგნების განუვითარებლობის ნაყოფია და რამდენად მომწიფდება ეს შეგნება, იმდენად დაუახლოვდება ქართველი მოსახლეობის რეალურს საზღვრებს. საქართველო, საქართველო ნამდვილი, ცხოველი იქაა, სადაც ქართველობა უმრავლესობას წარმოადგენს და ამ საქართველოს არსებობის დაცვა უნდა იყოს ჩვენი მისწრაფების საგანი.

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

(ამ დეპეშებმა დაიგვიანა, რადგანაც ტელეგრაფი გაფუჭებული იყო).

**28 თებერ. სხდომის დასასრული.**

გაფიცვის გამო შეკითხვის შესახებ ლაპარაკობენ **მალინოვსკი** და **ალექსეევი**. კერენსკი აცხადებს, რომ შრომის ჯგუფი ხმას მისცემს შეკითხვის სისწრაფეს. შეკითხვის სისწრაფე ერთხმად მიიღეს. საბჭო გადადის შეკითხვის არსებითად გარჩევაზე. ლაპარაკის მსურველი არავინ არის. შეკითხვა უარჰყვეს 124 ხმით 84 წინააღმდეგ.

შემდეგი სხდომა დღეს.

## სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

**28 თებერვლის სხდომა.**

**აკიმოვი თავჯდომარეობს.** მსჯელობა იქონიეს იმ მოხსენების შესახებ, რომელიც წარადგინა განსაკუთრებულმა კომისიამ, თუ ვის ექნება უფლება გადასახლდეს ახლად მოწყობილ სარწყავ ადგილებში სამარყანდის ოლქში. კომისიის აზრით იქ მხოლოდ მართლმადიდებელ გლეხებს და მდაბიო მოქალაქეთ შეუძლიათ გადასახლება. **ობოლენსკი** და **სკირმანი** წინადუდგნენ ამ აზრს. შეუძლებელია, რომ რუსეთის დანარჩენი მოქალაქენი კანონის გარეშე დავაყენოთო. ეს მომაკვდინებელი ცოდვა იქნებაო. საბჭომ მიიღო მათი შესწორება 63 ხმით წინააღმდეგ 62 ხმისა. მხოლოდ ჩაუმატა ამას ანდრეევსკიმ, რომ იმ სარწმუნოების მიმდევარს, ვინც სამხედრო ბეგარას უარჰყოფს, ნება არა აქვს გადასახლდეს იმ ადგილებში. სამარყანდის ველზე ამ ჟამად ირწყობა მხოლოდ 57000 დესეტინა, რაც ხაზინის ხარჯზეა გაკეთებული. დანარჩენი ადგილი ჯერ ურწყავია სახნავად გამოუსადეგარია.

შემდეგ მსჯელობენ იმაზე, თუ რა გადასახადი გამოერთვის გადასახლებულთ. რადგანაც სათათბიროსთან ვერ შეთანხმებულან კანონ-პროექტი შემთანხმებელ კომისიას გადაეცა.

საბჭომ მიიღო **ტაგანცევის** მოხსენება კასპის ზღვაში თევზის ჭერისა დ აღმოსავლეთ ამიერ კავკასიის წყლებში სათევზო სახაზინო წარმოების წესთა ცვლილებისა. ეს მეორე ნაწილი, სტიშინსკის შესწორების თანახმად, ძალაში შედის 1915 წლის პირველ თებერვლიდგან. სათათბიროსთან შეუთანხმებლობის გამო კანონ-პროექტი შემთანხმებელ კომისიას გადაეცა.

დღე შემდეგი სხდომისა გამოცხადებული იქნება ცალკე უწყებით.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ქართულ სცენის მოღვაწეთა სრულიად საქართველოს მომავალ კრების** მოსაწყობად ტფ. ქარ. დრამ. საზოგადოებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ა. ავალიშვილი, დ. დუმბაძე, გ. დიასამიძე, არ. ჯაჯანაშვილი, ვ. შალიკაშვილი, მ. ქორელი, სოფ. ტარუაშვილი, შალვა დადიანი და სხვანი. კომისია კვირას, 2 მარტს, უკვე შეუდგა სათანადო მუშაობას.

✦ კვირას, 2 მარტს, მოხდა ახალ კლუბის წევრთა კრების გაგრძელება, რომელზედაც განიხილეს და დაამტკიცეს მიმდინარე 1914 წლ. ხარჯთაღრიცხვა. შემოსავალი ნავარაუდევია 154,200 მან., ხარჯი 148,550 მან. აქედან მიეცემა დახმარებად ქ. შ. წ. კ. საზოგადოებას 1000 მან., ქართ. საისტ. საეთნ. საზოგ. 1000 მ., ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს 600 მ., საზოგ. „განათლება“-ს 400 მ., ქართ. ფილარმონიულ საზოგადოებას 300 მ., მცხეთის საქალ. საქსოვ სკოლას 300 მ., ქართ. სიტყ.-კაზ. საზოგადოების 200 მ., ტფილ. ქალთა უმაღლეს კურსებს 200 მ., ეკატ. გაბაშვილის ხელსაქმის სკოლას 200 მ., სოფ. გრემში (თელავის მაზრ.), ცეცხლით დაზარალებულთა სასარგებლოდ 200 მ., ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად 500 მ., ტფილ. და ქუთ. გუბერნიებში დამშეულთა სასარგებლოდ 500 მ., სახ. სახლთან არსებულ ქართულ დრამ. სექციას 100 მ., ტფილ. სახალხო უნივერსიტეტს 100 მ.

✦ **საუღელტეხილო გზა.** ამიერკავკასიის რკინის გზის სამართველოს უფროსის თანაშემწე ნ. ს. ზურაბოვი 2 მარტს საშურად გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც დანიშნულია თათბირი კავკასიის საუღელტეხილო გზის თაობაზე.

✦ რედაქციამ მიიღო წიგნის მაღაზია „ცოდნა“-საგან გამოცემული აკაკის მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს ექვს შაურად.

✦ **მწერალთა ოთხი.** რედაქციამ მიიღო თამარ თაქთაქიშვილის შედგენილი და გამოცემული **ახალი სათამაშო**—მწერალთა ოთხი. იგი ბანქოს ქაღალდის მაგვარია, თითო ოთხს ქაღალდს ერთი ქართველი მწერლის სურათი ახატია და ოთხი მისი უმთავრესი ნაწარმოების სახელი აწერია. მოთამაშე უნდა ეცადოს ამ გვარი ოთხი ქაღალდი ერთად შეაგროვოს. საზოგადოდ, თამაშობა სახალისოა და ჩვენი მოზარდი თაობისთვის გამოსადეგიც, რადგან გააცნობს მათ ქართველ მწერალთა უმთავრეს ნაწარმოებთა სახელებს მაინც. დაბეჭდილია სუფთა სადარბაზო ბარათის ქაღალდზე და ღირს სამი აბაზი. დართული აქვს თამაშობის ახსნაც.

✦ შაბათს, 1 მარტს, ქალაქის გამგეობის სარევიზიო კომისიამ მოულოდნელი რევიზია გაუკეთა ქალაქის გამგეობის კასას. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

✦ კვირას, 2 მარტს, შუადღის ორ საათზე დიდუბის ქუჩაზე, (დიდუბეში) საძირკველი ჩაუყარეს ბავშვთა მეორე თავშესაფარის შენობას. დაესწრო მეფის მოადგილის თანაშემწე ა. მიშლაევსკი, სამხედრო პირნი და სხვა.

✦ ქალაქის გამგეობის სამოსწავლო კომისიის თავმჯდომარედ შაბათს, 1 მარტს, ამორჩეულ იქმნა ხმოსანი ი. ალიხანოვი.

### სასწავლებლებში

✦ **ქართული სკოლა ბორჩალოს მაზრაში.** საჭირო და შესაძლებელი არის თუ არა სკოლის დაარსება ბორჩალოს მაზრაში და ან რომელ სოფელში,—ამ საკითხის გამოსარკვევად ბორჩალოს მაზრა ამ დღეებში მოიარა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ-მეთვალყურემ გრ. ბურჭულაძემ, რომელმაც საზოგადოების გამგეობას უკვე წარუდგინა მოხსენება თავის მოგზაურობის შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, ბ-ნი ბურჭულაძე ყოფილა ს. აკაურთაში, სადაც სკოლის გახსნა ითხოვეს. ამ სოფელში 18 კომლი ქართველი ყოფილა, დანარჩენი კი—თათარი (25 კომლი) და სომეხი (7 კომლი). სასკოლო ასაკის ქართველი ბავშვი ყოფილა ოცდა ათი. ხალხი ამ სოფელში თურმე ღარიბია. ბ-ნი ბურჭულაძე ყოფილა აგრეთვე ს. კაზარეთში, სადაც ქართველები 30 კომლია, ხოლო 25 კომლი სომეხი. კაზარეთის მახლობლად მდებარეობს ს. ბალიჭი, სადაც 30 კომლი ქართველი ყოფილა და 30 კომლიც სომეხი. მომხსენებლის აზრით ერთ-ერთ ზემოხსენებულ სოფელში მაინც საჭიროა ქართული სკოლის დაარსება. სკოლის დაარსება უფრო ადვილი განსახორციელებელი იქნება ს. ბალიჭში, თუ ადგილობრივი მემამულე თ-დი ნიკ. ევგ. ქობულაშვილი დაიდასტურებს თავის ძველს დაპირებას; 1912 წელს თ-დმა ქობულაშვილმა სურვილი განაცხადა, თუ ამ სოფელში სკოლას გახსნიდნენ, დაეთმო სკოლისთვის ერთი დესეტინა მიწა და თავის ხარჯით აეშენებინა სკოლის შენობა.

### კავკაზი.

✦ 25-ს თებერვალს აქაურ საზოგადო საკრებულოს დარბაზში უკრაინელ მგოსნის ტარას გრიგოლის ძე **შევჩენკოს** დაბადების 100 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა საღამო. საღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა: 1 განყოფილება: სიმღერები და მილოცვები; 2. განყოფილება: რეფერატი შევჩენკოს სამწერლო მოღვაწეობის შესახებ; რეფერატი: შევჩენკო, როგორც საზოგადო მოღვაწე; დეკლამაცია შევჩენკოს ლექსებისა; სოლო; 3 განყოფილება: სიმღერები, გუნდისათვის და სოლო-ები; ტრიო. აპოთეოზი. ყველა სიმღერები სოლო და ტრიო, მშვენივრად შესრულდა. სამიოდე სიმღერა ქართულმა ხორომაც იმღერა. მილოცვებში მონაწილეობა მიიღეს: ქალაქის წარმომადგენელმა ველიკორუსებისა; ყაზახების სიძველეთა მოყვარულ საზოგადოების წევრმა; პოლონელთა წარმომადგენელმა; ოსებისა, ინგუშებისა, სომხებისა და ქართველების წარმომადგენლებმა. საზოგადოთ საღამო ფრიად შინაარსიანი იყო. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო და ნასიამოვნები დარჩა.

### გორი

✦ პირველ მარტს დილიდანვე ამინდი აირია და წვიმას ზედ თოვლიც მოჰყვა. სქლადა სთოვდა ნაშუადღევის სამ საათამდე.

✦ ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიის რვა კლასს წელს პირველად ოცამდე მოწაფე ათავებს. ამის გამო დიდი ზეიმის გადახდას აპირებიან.

✦ ამ მოკლე ხანში მოხდება სახ. უნივერსიტეტის ჩვეულებრივი წლიური კრება, რომელზედაც განიხილავენ წარსულისა და მიმდინარე წლების ანგარიშსა და ხარჯთ-აღრიცხვას, ამოირჩევენ გამგეობის წევრებს და სხვა.

✦ „ქართლის“ სტამბაში უკვე დაიბეჭდა და საცენზურო კომიტეტს გაეგზავნა მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილის „საქართველოს ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან“ და „ქართველი ქალები“. იასონ კერესელიძის გამოცემა.

## ქ-ნ ჩიტო შარაშიძის ლექცია

კვირას დღითი ქართულ თეატრში ქ-ნმა ჩიტო (ქრისტინე) შარაშიძემ წაიკითხა ლექცია „ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“. ლექციამ ძლიერ დააინტერესა თეატრში მრავლად შეკრებილი საზოგადოება. ყველაზე საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ლექტორის კარგმა ქართულმა, თავისუფალმა გამოთქმამ, მკაფიო კილომ და გარკვეულმა ნათელმა მსჯელობამ. ყოველი სიტყვა ლექტორისა დაკვირვებით მოსაზრებული, აწონილდაწონილი იყო; მისი აზრები ღრმად ნაფიქრი და ნაგრძნობი. ყველაფერში სჩანდა ნიჭი და ფხიზელი გონიერება. დამსწრეთ არ ესმოდათ უაზრო სიტყვების ბრახა-ბრუხი, არამედ ყოველი წინადადება გამოსთქვამდა დასაბუთებულს აზრს. საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა ლექციის; ლექტორი ძხურვალე ტაშით დააჯილდოვეს და გულითადი მადლობა მიუძღვნეს ნიჭიერს ქართველს ქალს აზრიანის და შინაარსიანის მოხსენებისათვის.

მოგვყავს მოკლე შინაარსი ლექციისა. ქ-ნი შარაშიძე შეეხო მხოლოდ უმთავრეს ტიპებს ქართულ მწერლობაში და დამახასიათებელ ეტაპებს ქართველი ქალის ცხოვრებაში. შესავალში დაახასიათა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის გადაგვა-

## წერილი საინგილოდან

რკინის გზის ახალი მიმართულება.— ბეგები და მათი მამულები.— ისტორიული ნაშთების უპატრონობა.— ინგილო-მუსულმანთათვის მეჩეთების აშენებით გატაცება.

მოგეხსენებათ, რომ ამ ჟამად კახეთის რკინის გზის სადგურ წნორისწყლიდან ლიანდაგი გაჰყავთ ბაქომდის, რისთვისაც კერძო ამხანაგობა არის შემდგარი პეტერბურგში, სადაც თვალსაჩინო მონაწილეობას იღებს თ-დი პ. თუმანიშვილი. თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო, რომ რკინის გზას შუაგულ საინგილოში უნდა გაევლო, შუა გაეპო იგი და იმ მდიდარ სოფლებში შეჭრილიყო, რომლებიც საკმაო საქონელს მისცემდნენ წასაღებ-წამოსაღებად.

გონიერება, ხალხის ინტერესი და საჭიროება მოითხოვდა, რომ სწორედ ამ პირველს გამოკვლევაზე შეჩერებულიყვნენ, მაგრამ ბედშავს საინგილოსათვის სხვა როდის გაუღიმნია ბედს, რომ ეხლა საითმე შეელებოდა და თავისუფლად ამოესუნთქა. დიდ სავაჭრო ცენტრებს მოწყვეტილი, სადღაც მივარდნილ საინგილოს გვეგონა ეხლა მაინც ეშველებოდა და ხალხის მონაგარს რკინის გზის კანასთან ერთად ფასი დაედებოდა.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ საქმე სხვანაირად დატრიალდა და რკინის გზის ლიანდაგი ახალის მიმართულებით სრულიად განზედა სტოვებს საინგილოს. ახალის გამოკვლევით რკინის გზა წნორის წყლიდან შირაქის საძოვარ მინდვრების შუაგულში გამოივლის და მდინარე ალაზანს იქ მიუახლოვდება, სადაც ამ მდინარეს ერთვის ნუხის მაზრიდან ეგრიჩაი. აქ, ამ შესართავის ცოტა ქვევით ხიდი იქნება ალაზანზე და რკინის გზა შირაქის მინაგვარ ეხლა სხვა საძოვარ მინდორზე გადავა, რომელსაც აღიაზლო ჰქვიან.

ამრიგად რკინის გზა ისე გაივლის მთელს გზას, რომ საინგილოს არც ერთს სოფელს თოფის სასროლს მანძილზედაც კი არ მიუახლოვდება. მთელი გზა გაივლის შირაქსა, აღიაზლოსა და ნუხის მაზრის მზისგან გადახრუკულს ქედებსა და უდაბნოებში, სადაც არამც თუ მცხოვრებნი და მობინადრენი არ მოიპოვებიან, არამედ სასმელი წყალიც კი არსად მოიძებნება. ეს ადგილები მკვდარ მწირს უდაბნოებს წარმოადგენენ მთელი ნახევარის წლის განმავლობაში და მხოლოდ შემოდგომასა და ზამთარში იყრის აქ თუშთა და ზოგიერთ ლეკთა ცხვრის ფარები და ესენი შეადგენენ ამ თვალუწვდენელ მინდვრების ავლა-დიდებას.

არ ვიცი რა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ რკინის გზის გამყვანნი, როცა უმდიდრეს კუთხეს კავკასიისას—საინგილოს —ესე გარიყულზედა სტოვებენ. თუ მართლა ეს უკანასკნელი მიმართულება მიიღო რკინის გზამ, მაშინ ისეთი დიდი ცენტრები საინგილოსი, როგორც ზაქათალაა, კაკი, ბელაქანი, ჭარი და სხვანი, სულ ცოტა 35—40 ვერსით მაინც იქნებიან დაშორებულნი რკინის გზას.

ამბობენ, რომ ერთად-ერთი მოსაზრება რკინის გზისთვის ასეთის მიმართულებისა ის არის, რომ რკინის გზის ლიანდაგის გაყვანა შედარებით პირველ მიმართულებასთან ძალიან იაფადა ჯდება, რადგანაც აქ რკინის გზისთვის საჭირო მიწაც იაფია და არც იმდენი ხიდების გაკეთებაა საჭირო. შესაძლებელია ეს ასეც იყვეს, მაგრამ გადავხედოთ ახლა მეორე მხარეს, თუ რამდენი ეკარგება რკინის გზას ამგვარი ლიანდაგის გაყვანით. ყოველ წლივ მრავალი ნედლი საქონელი მიდის მთელის საინგილოდან ქალაქ ნუხაში იქაურ ქარხნებში დასამუშავებლად. ეს საქონელი გახლავთ უმთავრესად აბრეშუმი და ტყავეულობა, რომლის ყოველწლიური ჯამი 200 ათას ფუთს არ ჩამოუვარდება, ანგარიშში კიდევ, რომ არ მივიღოთ შეშა, ნახშირი, ერბო, სხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, რომლითაც საქათალის ოლქი ასაზრდოვებს ქალაქ ნუხს. ყველა ეს, რასაკვირველია, თუ რკინის გზა შუაგულ საინგილოში გაივლის უსათუოდ რკინის გზით წავა ნუხში. ახალი ვარიანტით კი ზაქათალის ოლქი არც ერთ გირვანქა ზემოხსენებულ საქონლისას არ გაიტანს რკინის გზით, რადგანაც ეს უხერხულიც არის და ძვირიც დაჯდა, ამიტომ ისევ ძველებურად ურმებითა და ფურგუნებით ემჯობინება წაღება.

გარდა ამისა თვით ხალხის ინტერესი, საჭიროება, რომელიც დიდი ხანია ციური მანანასავით მოელოდა რკინის გზას და რომლის იმედიცა ჰქონდა, რომ ის გამოიყვანდა სადათას ძილიდან ამ მდიდარსა და ტურფა ქვეყანას, განა მხედველობაში არ უნდა იყვეს მიღებული.

ჯერ-ჯერობით ასეა რკინის გზის გაყვანის საქმე და ჩვენც გვმართებს მოთმინება ვიქონიოთ და ვნახოთ რითი გადაწყდება ეს ჩვენის ქვეყნისთვის ფრიად საჭირო საქმე.

ჯერ კიდევ რკინის გზა არ გაუყვანიათ, მაგრამ გადმოსახლებულმა რუსებმა უკვე თავი დაგვიკრეს და ორს ადგილს უკვე ჯერ-ჯერობით ჩასახლდნენ. ერთი ნაწილი დასახლდა ბახტალაში, სადაც კახეთის მეფის ლეონისაგან აშენებულია დღემდის მშვენიერად შენახული ტაძარი და ამ ეკლესიის შეკეთება-გამშვენიერებასაც შეუდგნენ; მეორე ნაწილი სოფელ გილუკში (ძველად ქართველთა სოფელი ვარდოვანი იყო) ჯერ-ჯერობით იჯარით აღებულ მიწაზე და ლაპარაკი აქვთ გამართული ერთ ადგილობრივ მემამულესთან მიწების შესყიდვაზე. რუსების მოსვლასთან ერთად მამულების ფასმა აიწია. წინად თუ დესეტ. 3—4 თუმნად ფასობდა, ეხლა 90—100 მანეთზედ ავიდა. უნდა აღვნიშნო კი რომ აქაური მემამულე-ბეგები, ისე საჩქაროდა და სიხარულით არა ჰყიდიან მამა-პაპეულ ნაამაგდარ მამულს, როგორც ამას სჩადის ჩვენი თავად-აზნაურობა, თუმცა იმათზედ ნაკლებ არ არიან დავალიანებულნი სხვადასხვა გადასახადებით. შარშან მოვიდა მთელი ამხანაგობა სომხებისა, რომელთაც განძრახვა ჰქონდათ აქაური ბეგებისაგან ეყიდნათ მინდვრები აღიაზლო, სარიჯა და აჯინაური, გაეყვანათ იქითკენ ალაზნიდგან არხები ამ ბუნებით მდიდარ, მაგრამ უწყლობით გატიალებულს ადგილებში და ბამბისა და თამბაქოს მოყვანა გაეჩაღებინათ. მაგრამ ასე გაშინჯეთ მშიერ-წყურვალმა ბეგმაც კი არ გაბედა მამულის გაყიდვა და ყველამ ერთხმივ ცივი უარი სტკიცა. სომხები, კარგი ფასების გარდა, რომელსაც მიწებში აძლევდნენ, პირობას უდებდნენ, რომ შვილებსაც ჩვენის ხარჯით გაგიზრდით გიმნაზიებში, ოღონდაც მამულები მოგვყიდეთო, მაგრამ ბეგები ულმობელნი გამოდგნენ და პირში ჩალა გამოვლებულები გაისტუმრეს. არა ჰგვანებიან ჩვენებურ თავადიშვილებს, რომელნიც ერთად-ერთ თავიანთი მარჩენალ მამა-პაპათა სისხლით მორწყულ ველ-მინდორს საუკუნოდ უკარგავენ ქართველობას და უცხოელებზედა ჰყიდიან. დროა ჭკუა ისწავლონ ჩვენებურმა თავადებმა აქაური ბეგებისაგან.

ეჰ, მაგრამ რაღა დაგვრჩა ბედშავს ქართველობას! საინგილოს მიწა-წყალი ხომ დიდი ხანია დაკარგულია 8/10 მაინც ქართველებისათვის და მხოლოდ აქა-იქ ბარში და მთაში კიდევ ბლომად დარჩენილან უტყვი მოწამენი იმისა, რომ ეს მიწა-წყალი ერთს დროს ქართველებისა ყოფილა. ესენი არიან ეკლესიანი, ტაძარნი და ციხე-დარბაზნი, მაგრამ ისინიც ჩვენის უყურადღებობისა გამო იგვებიან პირისაგან ქვეყნისა. ს. ყუმის დიდი ტაძარი ვიღაც ლეკმა ნახევრად დაანგრია და მისი ნანგრევი ქვით საკუთარი სახლი ააგო, ს. ლექეთის ქართული მონასტრის კარის წინ უხსოვარ დროის კაკლები ვიღაც წარმართმა ძირიან-ფესვიანათ ამოაგდო, მაგრამ ყველაზედ უფრო უარესი დღე დაემართა ს. კაკის პატარა ეკლესიას, რომელიც ძველს დროში ემბაზი იყო თურმე. ეხლა ეს ძველი ემბაზი სახერხავად არის თურმე გადაქცეული და მის გვერდით ვირების საბამი არის გამართული. აი რას ამბობს ამ პატარა ეკლესიის შესახებ განსვენებული დიმ. დიდი მოჭირნახულე თავისის ქვეყნისა, ერთს თავის ხელნაწერში: „ერთხელ გავიძრახე ამ ეკლესიის განახლება მაგრამ თათრებმა მითხრეს, ნებას არ მოგცემთო.—რატომ? დავეკითხე.—ამიტომ, მიპასუხეს თათრებმა, რომ ამ ეკლესიას დიდი ძალა აქვს და ჩვენ, თათრები, დიდ პატივსა ვცემთო. ჩვენი დედაკაცები მეორმოცე დღეს შობიდგან ყმაწვილებს აძინებენ აქაო და ამითი ბავშვებს ჯანი და ღონე ემატებათო. თქვენ, რომ განაახლოთ ეს ეკლესია მაშინ თათრები აღარ მოვლენ სალოცავადო“.

ჩვენ ქართველები, ხომ ცნობილნი ვართ დაუდევრობითა და უყურადღებობით, მაგრამ თათრებს რაღათ მოუვიდათ ეს ამბავი, ვერ გამიგია, თუ მართლა ისე სწამდათ ამ ეკლესიის ძალა და პატივსა სცემდნენ.

დიახ, როცა ჩვენი ისტორიული სიმდიდრე ასე უწყალოდ იღუპება ჩვენისავე უყურადღებობით, ამავ დროს საინგილოში გაცხარებული მუშაობაა მეჩეთების ასაშენებლად. საკმარისია ოდნავ მაინც თვალი გადაავლოთ საინგილოს, რომ ყველგან ერთი და იგივე სურათი გადაგეშლებათ თვალწინ, ყველგან ახალ-ახალი მეჩეთებს აშენებენ, უდიდესსა და უმშვენიერესსა. ინგილო მუსულმანებმა ამ მხრივ ყველას გადააჭარბეს, აქ სოფელი სოფელს ეჯიბრება, უბანი-უბანს: არა მე უფრო შენზე უკეთესი მეჩეთი უნდა ავაშენო, არა მეო. სოფელი ითითალა (ძაღლის უბანი) რა არის, ერთი ბეწვა სოფელი კი არა, უფრო უბანია ანუ ბინა, სხვათა საბეგო მიწაზე გაშენებული. აი ამ პატარა სოფლის მცხოვრებლებმაც კი წელზე ფეხები დაიდგეს, საერთო ფეხის ხმას აჰყვნენ და ისეთი მშვენიერი და უშველებელი მეჩეთი წამოჭიმეს, რომ ზოგიერთ მუსულმანთა ქალაქსაც შეენატრება მისი მსგავსი. ესეთია დღეს-დღეობით ჩვენი ბედშავი ცხოვრება.

**ედილი.**

რების ხანა და საყურადღებო აზრი გამოსთქვა: ჩვენი საზოგადოების გადაგვარება რუსების შემოსვლიდან კი არ იწყება, არამედ შორიდან მოდის, იმ დღიდან როცა მეცამეტე საუკუნეში ჩვენი მაღალი მდიდარი კულტურა საშინლად დაიმსხვრა და ოსმალოთა და სპარსელთა განუწყვეტელის თავდასხმის გამო ვერ იქნა, ვერ აღსდგა და ვერ გაიმართა წელშიო. საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო, ფართო გზა მისცა იმას, რაც ჩვენს ცხოვრებაში კარგა ხანია დაწყებული იყო. საშინელია მე-19 ს. დასაწყისის ქართველ საზოგადოების სურათი. „ლოთებო, ნეტავი ჩვენა!" გაისმის ქართველი საზოგადოების უმაღლეს წრეში. „ღვინო, ქეიფი!" აი სად ეძებენ ხსნას ჩვენი საუკეთესო მამულიშვილები, რომლებიც დროგამოშვებით გულისტკივილს გრძნობენ; ცრემლი გადმოსდით ლეჩაქ მოხდილს სამშობლოს შემხედვარეთ. თან, ყელში მომდგარ ცრემლების ყლაპვით, იარაღით იჭურვებიან და მიდიან... რუსეთის ჯარში, ჩინ-ორდენებით იმშვენებენ მხარ-მკერდს, ამაგრებენ ძლევა-მოსილი რუსის ბრძანებლობას კავკასიაში და ამით სრულიად აქარწყლებენ თავის ყმაწვილურ შეცოდებას—შეთქმულების მოწყობის ცდას. ასეთია საქართველოს ზედაპირი, მისი მშრომელი ნაწილი, გლეხ-კაცობა კი მონობის მძიმე უღლის ქვეშ იტანჯება. ასეთ დროს დაიბადა ნ. ბარათაშვილი, რომლის ზღვა გული და სულის უსაზღვრო მისწრაფებანი ვერ დააკმაყოფილა მაშინდელმა დუხჭირმა ცხოვრებამ. ბარათაშვილისთანა მაღალი ადამიანის სულს ან სიკვდილი დაამშვიდებს, ან ოცნება. ბარათაშვილი ჰქმნის სატრფო ქალის იდეალურს სახეს და განსაკუთრებული სიფაქიზით, სინაზით ალსავსე გრძნობას უძღვნის მას. მისი ქალი ზეციერი არსებაა. იგი ისტორიიდანაც აღმოაცენს სოლომონ მსაჯულის შესანიშნავი მეუღლის სოფიოს აჩრდილს და მასში ესტრფიალებს სამშობლოს დაკარგულ თავისუფლებას. თანამედროვე ქალები კი სძაგს პოეტს, ვინაიდან „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველი".

განვლო 15 წელმა ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ და ქართულ მწერლობაში გაისმა ძლიერი იმედიანი ხმა ახალგაზდა პოეტის ი. ჭავჭავაძისა, რომელიც თავის დანიშნულებას ერის ტანჯვის ცრემლის მოწმენდაში ხედავს. „ხალხი", „ერი",—ეს სიტყვები უტრიალებს მგოსანს, როცა რუსეთიდან ბრუნდება. ფიქრობს, თუ როგორ მიიღებს სამშობლო, როგორ შეუმსუბუქებს ტანჯულს ერს მძიმე უღელს? ხალხი, განსაკუთრებით მშრომელი, იპყრობს მის ყურადღებას, აქ ეძებს განმაახლებელ ძალებს, მშრომელ ხალხზე აფუძნებს მომავალის იმედებს. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ერთი ნაწილი შეეხება გლეხკაცთა ცხოვრების შესწავლისა, მეორე ნაწილი კი გვიხატავს ეროვნულს იდეალებს. ხოლო ილიას მიერ დახატულ გლეხებში ხალას ოქროსავით ბრწყინავს ოთარაანთ ქვრივი, ყოველის მხრით შესანიშნავი ადამიანი, წორედ რომ „რკინის დედაკაცი", „ფესვ-მაგარი ხე". ოთარაანთ ქვრივი მთლიანი და სრულია, როგორც ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება. მის ბუნებას არ სჩვევია რყევა და ორჭოფობა, ნახევარი გრძნობა. იგი ხალხის ნამდვილი შვილია და თავის დიდებულ სახით გვიჩვენებს, თუ რამდენი ენერგია, შემოქმედება და მადლია დამარხული ჩვენი ხალხის გულის სიღრმეში. ი. ჭავჭავაძის დაკვირვებულმა თვალებმა ჩვენი დაცემული ცხოვრების სიღრმეში იპოვა ქალი, რომელიც გამომსახველია ხალხის გულის საუნჯისა და სიძლიერის. ოთარაანთ ქვრივი ხელოვნური ტიპი არაა, არამედ ნამდვილი ცხოვრებაა. მკრთალად, უფერულად სდგას ძლიერი ოთარაანთ ქვრივის ჩრდილ ქვეშ თავადი არჩილის ცოლ—კესო, უძირო, უნიადაგო მცენარე. ეს მტირალი არარაობა ნ. ბარათაშვილის თანამედროვე ქალების ახლობელი ნათესავია.

თავის ნაწერების მეორე ნაწილში ილია გაიცქირება წარსულისაკენ, ხატავს გაიდეალურებულ ტიპებს და ამით ცდილობს აღუძრას თანამედროვე ქალებს შეგნება მოვალეობისა მამულისადმი, თუმცა იმასაც ამბობს: „მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულა... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხსო".

ილიას თანამოკალმე აკაკი გესლიანის სარკაზმით გვიჩვენებს ახლანდელი ქალების ზნეობრივ და გონებრივ დაცემას და პოეტურის სინაზით იწვევს მათ აღსადგენად ძველს ქართველს ქალებს: ნინოს, ქეთევანს და თამარს. მრავალ სალირიკო ლექსში აგვიწერს დღევანდელი ქალის გადაგვარებას, ხოლო როცა დღიურ სიცხადით გული ეჩაგრება, სიზმარში, ოცნებაში ეძებს ნუგეშს და გვიხატავს წარსულიდან შესანიშნავს თავგანწირულს გმირულს დედებსა და ცოლებს...

მესამოცე წლებიდან, როცა ბატონყმობა გადავარდა, ძირიანად შეიცვალა ჩვენი ცხოვრება; ასპარეზზე გამოვიდა ხალხი, გაჩნდნენ ახალი ძალები. ცვლილება, რასაკვირველია, მწერლობასაც დაეტყო. ახალი მწერლობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი იყო ე. ნინოშვილი, უბრალო გლეხის შვილი. მან დაგვიხატა ახალი ქართველი ქალის ტიპი. ესაა სპ. მცირიშვილის ცოლი დესპინე, რომელიც ნამდვილს მეგობრობას უწევს ქმარს, და ამავე დროს გატაცებულია ხალხის სიყვარულით და მზადაა თავი შესწიროს მის კეთილდღეობას. დესპინე პირველი მერცხალია, ეხლანდელმა ცხოვრებამ უნდა წარმოშვას სწორედ ასეთი ქალები.

ე. ნინოშვილის დესპინეს ძალაუნებურად უნდა დავუპირდაპიროთ შ. არაგვისპირელის დახატული ქართველი ქალი (ჩემი სამშობლო—ჩემი გულია) მარო, რომელიც მხოლოდ პირუტყვულის გრძნობებითაა შეპყრობილი და რომლის ცხოვრებას არავითარი სულიერობა არ ამუქებს. პირუტყვობა სიყვარულში, ტლანქი გულგრილობა სამშობლოსადმი, ცბიერობა და სიყალბე—აი დამახასიათებელი თვისებები მაროსი. ავტორი არსებითად შემცდარია, როცა ფიქრობს, რომ მარო საზოგადო სახეა ქართველ ქალისა. ავტორი სცდება ისე, როგორც სცდებიან ის ინტელიგენტები, რომელნიც ფიქრობენ, რომ ერის ზედაპირის გადაგვარება, ვითომც ნიშნავდეს მთელი ერის გადაგვარებას. შემცდარია ეს აზრი იმ მხრითაც, რომ ქალის გადაგვარება არაა გამოცალკევებული მოვლენა, არამედ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო ცხოვრებასთან...

რამდენად ერი ცხოველია, რამდენად ახალი ცხოვრება ფეხს იკიდებს და ვრცელდება ერში, რამდენად ერი ადგება აღორძინების და განახლების ხანას, იმდენად იბადება ახალი ქართველი ქალიც, რომელიც თანდათან შეგნებული მონაწილე ხდება საერო ცხოვრებისა.

დასასრულ ლექტორი შეეხო ქართულ პუბლიცისტიკის აზრს ქართველი ქალის შესახებ, გაარჩია რამდენიმე პასუხი „სახალხო გაზეთში" დაბეჭდილ ანკეტისა და გამოსთქვა თავისი საზოგადო დასკვნა: ჯერჯერობით შეიძლება იშვიათია ისეთი ქალი, რომელიც მასწავლებლის, აღმზრდელის და საზოგადოდ ადამიანის მაღალ დანიშნულებას შესაფერის სიმტკიცით და სიყვარულით ასრულებდეს; მაგრამ შორს აღარ არის დრო, როცა ჩვენს უმოქმედო ინტელიგენციაში ინტელიგენტ-ქალთა რაზმი ცხოველმყოფელ ნაკადულად შეიჭრება და განახლებისაკენ წაიყვანს. ჩვენ მოზარდ თაობაში (ქალებში) ნელნელა გროვდება დიდი სულიერი და გონებრივი ძალა, ძალა, რომელიც ჯერ შეუმჩნეველია. ხუთი-ათი წე-ლიწადი კიდევ და ვისაც ასხია ყურნი სმენად და თვალნი ხედვად, გაიგონებს ქართველი ქალის, ახალი ქალის ენერგიით აღსავსე ხმას იხილავს მის ნათელს სახეს... ოთარაანთ ქვრივი ასე ადვილად არ აღიგვება ცხოვრების პირიდან. მისი უმწიკვლო, მთლიანი ბუნება დაბალ ხალხის მომავალ თაობას ქალებშია გაფანტული, იმ ქალებში, რომელნიც გზას მომავალისაკენ შრომითა და ნათელს ჭკუა-გონებით გაიკვლევენ.

მართალია, შორსაა ჯერ ის ჟამი, როცა ქალი სრული, თავისუფალი ადამიანის სახელის მატარებელი უნდა შეიქნეს. მაგრამ ამ შორეულ მომავლისაკენ სხივოსანი, თუმც ეკლიანი, გზა უკვე გაკვალულია. გზა, რომლითაც ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მოდიან ქალებიც და კაცებიც; გზა, რომელსაც მონობიდან თავისუფლებისაკენ მოჰყავს კაცობრიობა!..

ასეთის სიტყვებით დაამთავრა ქ-მა შარაშიძემ თავისი საინტერესო ლექცია, რომელსაც ტფილისის საზოგადოება დიდხანს მოიგონებს ხალისითა, სიხარულით და მადლობით.

---

## მშობელთა წრის დელეგატთა კრება

კვირას, 2 მარტს ტფილისის ქართულ გიმნაზიაში მოხდა გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის დელეგატთა კრება. წრის საბჭომ წარუდგინა კრებას სარევიზიო კომისიის დადასტურებული ანგარიში კასის შემოსავალ-გასავლისა (სარევიზიო კომისიის ოქმი წაკითხულ იქმნა რუსულად, კომისიის ერთერთმა წევრმა განაცხადა—ვერავინ ვიშოვეთ ოქმი ქართულად გადაეთარგმნაო!), აგრეთვე მოხსენება თვისი მოქმედების შესახებ.

როგორც მოხსენებიდან სჩანს, მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში, ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით, წრის საბჭოს მოუწყვია სარეპეტიციო კლასები ჩამორჩენილ მოწაფეთათვის, საკლასო ბიბლიოთეკა (ჯერ-ჯერობით პირველ ორ კლასში), საწყობი სახელმძღვანელო და ხელსაწყოთა, რომლებიც ეთმობათ მოწაფეებს ღირებულების მეოთხედ ფასში.

ახლო მომავალში საბჭოს განზრახული აქვს წრის თანხის გასაძლიერებლად გამართოს ლექციები და სეირნობა, მოაწყოს გიმნაზიის მოწაფეთათვის ექსკურსიები და გონივრული გასართობები, აგრეთვე ხელმისაწვდენელ ფასებში სუფთა და საღი საუზმები.

განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია საბჭოს ბინის საკითხისთვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს შეგირდთა ჯანმრთელობისათვის.

საბჭომ დაამზადა საანკეტო ფურცლები და უკვე შეუდგა მუშაობას, რათა გაეცნოს მოწაფეთა ნივთიერ მდგომარეობას.

მომავალ სექტემბრისთვის საბჭოს აზრად აქვს მოაწყოს გიმნაზიასთან ახლო-მახლო პატარ-პატარა ბინები და პანსიონები.

დასასრულ, დელეგატთა კრებამ მადლობა გადაუხადა წრის საბჭოს, რომელიც არა ზოგავს შრომას, რომ ხელი შეუწყოს სწავლა-აღზრდის საქმეს.

X.

---

## მეორე საჯარო კრება ტფილისის ქართ. ქალთა საზოგადოებისა

შაბათს, 2 მარტს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში გაიმართა მეორე საჯარო კრება ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა რომელზედაც **ვახტანგ ღამბაშიძემ** წაიკითხა მეორე ლექცია ბავშვთა აღზრდის შესახებ. წინა ლექციაში როგორც უკვე აღნიშნული იყო ბ-მა ლექტორმა დაგვისახელა ის პირობები, რომელიც უფრო ხელს უწყობს ბავშვის დასნეულებას.

ეხლა კი აღნიშნა სნეულებანი, რომლითაც ავად ხდებიან და იხოცებიან ბავშვები, გაიმეორა ის პირობები, რაც გამოიწვევს ავადმყოფობას:

1, სიღარიბე (რაც უფრო ნაკლებია წლიური შემოსავალი, მით უფრო მეტია ბავშვთა სიკვდილი) 2. ჰავა (ზაფხულობით უფრო მეტი იხოცება ბავშვი, ვიდრე სხვა დროს, რადგანაც სიცხე მეტად ხელს უწყობს ნაწლავების ავადმყოფობას). 3. ვინ აწოვებს ძუძუს; დედა, ძიძა თუ ხელოვნურად ასაზრდოვებენ.

მეორე ლექცია წაიკითხა ქ-მა დომინიკა ჩიხლაძემ შემდეგ თემაზე: „რა ღვაწლი მიუძღვის მონასტრებს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაში".

მე-IV საუკუნის ახლად მონათლულმა ქართველმა ხალხმა არა იცოდა, რა ქრისტეს სარწმუნოებისა რადგანაც მქადაგებლები არა ჰყავანდა. ამიტომ მორწმუნე მეფენი საბერძნეთიდან იბარებდნენ ხოლმე მეცნიერებს, რომ საქართველოში ქრისტეს სარწმუნოება მტკიცე საფუძველზე დაეყენებინათ. რადგანაც ბერძნებმა ქართული არ იცოდნენ, უსათუოდ საჭირო იყო ისეთ ქართველებ შორის ისეთი პირები, რომელნიც ამ მიზნისათვის გამოდგებოდნენ. არსებობდა სკოლებიც, მაგრამ ამ სკოლებში ქართულ ენაზე სახმარი წიგნები არ მოიპოვებოდა. აი სწორედ ამ მდგომარეობამ გამოიწვია საჭიროება იმნაირ დაწესებულებისა სადაც დაიწერებოდა და გადაითარგმნებოდა ქართულ ენაზედ საჭირო წიგნები ამ დროს 445 წ. ან 448 წ. მოვიდნენ სირიიდან თორმეტი მამა და მცხეთის პირდაპირ სადენის მთაზედ ააგეს წმ. ჯვრის მონასტერი. ამათვე დაარსეს დავით გარეჯის, იყალთოს, შიო მღვიმისა და მარტყოფის მონასტრები. ამის შემდეგ გაჩნდა ქართული მონასტრები სირიაში, პალესტინაში, სინას მთაზე, ათონის მთაზედა და ანტიოქიაში; ახლად დაარსებული ქართული ეკლესია მიეწერა ანტიოქიის საპატრიარქოს, რის შემდეგ საქართველო სარწმუნოებრივ პოლიტიკისა და კულტურის მხრივ შეუერთდა საბერძნეთის ეკლესიას, ისე რომ ამათ შუა უსათუოდ მიმოსვლა უნდა ყოფილიყო.

მეათე საუკუნეში საქართველოს გარედ არსებული ქართულ მონასტრებში შეუდგნენ საეკლესიო და სამღვთო წერილის თარგმნას ასირიულისა და ბერძნულ ენიდან. ამ დრომდე კი საქართველოში სარგებლობდნენ მეხუთე საუკუნეში სტეფანესი და დავითის ნათარგმნ წიგნებით. შესაძლებელი გახდა ქართულად შესწავლა სამღვთო წერილისა და ქადაგებაც. ეკლესიები და მონასტრები მატულობდნენ, იზრდებოდა აგრეთვე წიგნების მოთხოვნილებაც. ამ საქმეს აწარმოებდნენ ბერები მონასტრებში. ასე თანდათანობით განვითარდა და შემუშავდა ქართული მწიგნობრობა და მე-XII საუკუნეში უკვე ვხედავთ ისეთს ნაწარმოებს როგორც მაგალითად: „ამირანდარეჯანიანი", „ვეფხის ტყაოსანი" და სხვა. მერე როდესაც საქართველოს ყოველ მხრივ მტრები ეხვია და მუდამ ცეცხლის განადგურების შიშში იყო, ამ მონასტრებმა მაინც შეინახა კულტურა. ამ მონასტრებში განვითარდა აგრეთვე მხატვრობაც. მონასტრებთან არსებულ სკოლებშიაც სთარგმნიდნენ როგორც ბერძნულიდან ქართულად ისე ქართულიდან ბერძნულად.

მონასტრებში იწერებოდა აგრეთვე მატიანები; ასრულებდა იმ დანიშნულებებს, რომელსაც მონასტერშივე ასრულებდა ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვა. როდესაც საქართველოს ერთ კუთხეს მიესეოდა მტერი მაშინ იქაურ მონასტრების სიძველენი მეორე უშიშარ მონასტერში გადაჰქონდათ. ეს სიძველენი არის: ხატები, სხვა და სხვა საეკლესიო ნივთები ისტორიულის წარწერებით, გუჯრები, სადაც ნაჩვენებია აუარებელი ქონება ეკლესიებისა და ხელნაწერები. ყველა ეს ნაშთები სინათლეს ჰფენს საქართველოს საეკლესიო და საერო ისტორიას, სამეფოს ცხოვრებას, მის დამოკიდებულობას ბიზანტიასთან, რუსეთთან და სხვ.

მაგრამ ბოლოს, რამდენადაც უფრო ვრცელდება ახალი განათლება და ვითარდება ცხოვრება, იმდენად უფრო ეკარგება მონასტრებს მნიშვნელობა; მათ დაუთმეს თავისი ადგილი საერო სკოლებს და კულტურულ დაწესებულებებს.

---

## წერილი სოხუმიდან

12 თებერვალს ალოიზის თეატრში გაიმართა ქართული სამუსიკო საღამო ბ. ძუკუ ლოლუას ლოტბარობით, რომელსაც ნამდვილი ეროვნული ხალხური ხასიათი ჰქონდა. დამსწრენი აღტაცებული იყვნენ.

საღამო ოთხ განყოფილებიანი იყო; ყოველი განყოფილება თავდებოდა ცეკვით და დივერტისმენტით. მესამე განყოფილებაში ფარდის ახდამდის მოისმა შორიდან ძველ მებრძოლთა გამამხნევებელი სიმღერა „მგზავრული" სროლითა და დოლით. მეოთხე განყოფილებაში შედიოდა ჩვენებური ღამის თევა: ეკლესიის ეზოში ისხდნენ სუფრის გარს ქულაჯით გამოწყობილი ახალ-გაზდობა. იმღერეს: „მრავალჟამიერ" „თამარ ქალი" „მურმან" და სხვა. ამ დროს შორიდან გამოჩნდნენ ჩოხოსნები „ხასანბეგურისა" ძველი „აბადედის" სიმღერით. ჩოხოსნები მიიწვიეს ქულაჯებიანებმა. მოუსხდნენ სუფრას და სხვა და სხვა სიმღერები შემოსძახეს. განყოფილების ბოლოს იყო ორ სართულიანა „ფერხული" მეგრული „ძაბრალეთ". განსაკუთრებითი აღტაცებით მიეგებნენ სიმღერებს: „სი ქოთულ ბატა მაქომიტალენქო", ეს სიმღერა ძველთა ძველი ხალხურია მეგრული თვით ბ. ლოლუასაგან არის გადაკეთებული; ჯერ მღერის ტრიო, ბოლო კი ერთად გუგუნით თავდება. ეს სიმღერა იმიტომ აღვნიშნე რომ ჯერ ამ სიმღერას ნაკლებ იცნობენ საქართველოს კუთხეები, თორემ სხვა სიმღერებიც საუცხოოდ იყო შესრულებული.

ლექსი „განთიადი" გრ. ორბ. წაიკითხა ვ. კიზირიამ; იმერული სცენები წაიკითხა შ. ს. ანჯაფარიძემ, გურული სცენები, თორმეტი წლის ბავშმა ი. კ.; აღსანიშნავია საუცხოო ცეკვა ბ. თეო გაბუნიასი და ბ. ა. სახოკიასი. მესამე მუშა გ. მარგიანი (სვანი) ორი ხანჯლითა და ხმლით ისე ცეკვავდა, რომ დამსწრეთა გაკვირვებას იწვევდა; ამათ ცეკვის დროს ვაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთი სიტყვით, საღამომ მშვენივრად ჩაიარა. განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. საღამოს შემდეგ, გაიმართა ნადიმი. დიდი ოვაციით შეხვდნენ ბ. ლოლუას, სიმღერითა და ტაშის ცემით ატარებდნენ მას. სუფრაზე გაიმართა სადღეგრძელოები და შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს თ. ჯ. შ—ძემ და ნაფიც ვექილმა ბ. მა—ძემ აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ მუსიკას და კერძოთ ჩვენში. დილის ხუთ საათზე საზოგადოება დაიშალა.

როგორც გადმომცეს დიდი მადლობის ღირსია ბ. ალექსანდრე ჯაიანი, რომლის დახმარებით შეუძენიაო ხოროსთვის ახალი ტანთსაცმელები. უსურვოთ ბ. ლოლუას და მის ჯგუფს მეტი სიმხნევე და ენერგია.

დამსწრე.

---

## მცხეთის წვრილი სესხის ამხანაგობა

ამ წლის თებერვლის 14-ს შესდგა მცხეთის ამხანაგობის წევრთა წლიური კრება; დაესწრო ინსპექტორი ბ. ჩხეიძე. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წლიური ანგარიში. ამხანაგობას ჰქონია ძირითადი თანხა 1,000 მან. მოკლე ვადიანი სესხი სახელმწიფო ბანკიდან გამოუტანია და თავის დროზევე უკან დაუბრუნავებია 9,500 მან.; წევრებს და გარეშე პირებს შესანახად და სასარგებლოდ მიუბარებიათ 3,084 მან. ამ თანხის წარმოებაზე დახარჯულა: სესხისა და მიბარებული ფულის სარგებელი ამხანაგობას მიუცია 558 მან. 36 კაპ.; ვადაზე წინ დაბრუნებულ ფულის სარგებელი უკან მიუცია მსესხებელთათვის 87 მან. 35 კაპ. წარმოებისა და სხვა წვრილი ხარჯი ყოფილა 149 მან. 72 კაპ. ამხანაგობას ნაღდი მოგება დარჩენია 806 მან. 52 კაპ., რომელიც კრებამ ასე გაანაწილა: ძირითად თანხისთვის გადაიდო 322 მან. 60 კაპ., სათადარიგო თანხისთვის 161 მან. 30 კაპ., საგანგებოსთვის (საკუთარ ბინის შესაძენად) 227 მან. 62 კაპ., უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთვის 20 მან., მოსამსახურესთვის 5 მან. და მოანგარიშეს საჩუქრად 70 მან., რადგანაც უფასოდ მსახურებდა აქამომდე, როგორც ყველა წევრი გამგეობისა და საბჭოსი. წლევანდლიდან კი კრებამ დაუნიშნა გასამრჯელო საქმის მწარმოებელს თვეში 10 მან., გამგეობის და საბჭოს წევრებს სავალდებულო სამუშაო დღეებში თითოს თითო მანეთი, თუ საქმეს აწარმოებენ. სავალდებულო დღეებათ ითვლება გამგეობისთვის კვირა დღე, საბჭოსთვის თვეში ერთი დღე.

აღსანიშნავია ამხანაგობის ცხოვრებაში შემდეგი შემთხვევა: საბჭოს წევრს ა. მ—შვილს დეკემბერში მიუტანია ბანკში 1,500 მან. ვექსილის დასახსნელად; 1,200 მან. ქაღალდის ფული ყოფილა და 300 მან. ხურდა (ვერცხლის) ფული. რადგანაც ვექსილების კასაში ხურდა ფული არ მიუღიათ, იძულებული ყოფილა ჩასულიყო ქვეით და ქაღალდის ფულზე გამოეხურდავებინა ეს 300 მან. ამ ოპერაციის გათავების შემდეგ შეუნიშნავს, რომ ის 1,200 მან. ჯიბეში აღარა აქვს. ასე რომ სახელმწიფო ბანკის შენობაში დაეკარგა ამხანაგობის 1,200 მან. დამკარგავს თითონ გადაუხდია ეს ფული, რისთვისაც საზოგადო კრებამ სინანული განუცხადა და მადლობა გადაუხადა.

დამსწრე.

---

## რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებანი

(ს.-პეტერბურგის დეპეშ. სააგენტოსაგან)

**ბერლინი.** „ნორდ-დეიტშე-ალგემაინე-ცაიტუნგ"-ში გადაბეჭდილია „ვეჩერნი ბირჟევაია ვედომოსტების" წერილი. გაზეთი თავის მხრივ დასძენს, რომ სრულებით არ აქვს სურვილი კრიტიკა გაუკეთოს რუსეთის ჯარების დამსახურებულ ქებას და სავსებით ეთანხმება „როსიას", რომ ორივე იმპერიის მთავრობას სურვილი არა აქვთ ჯვარი დაუსვან რუსეთ-გერმანიის ამხანაგობის „ლეგენდას". „როსიას" წერილის გამო „ლოკალ ანცაიგერი" ამბობს, გერმანიაში ამ წერილის აზრს გაიგებენ და მოიწონებენ, გარდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთებისა, რომელიც გერმანულ კრიტიკაზე არავითარ გავლენას არ ახდენს. გერმანიის მთელი პრესსა მუდამ მხარს უჭერდა რუსეთთან შეკავშირებულ მშვიდობიან მუშაობას. „კრეიცერ ცაიტუნგი" საგაზეთო გალაშქრების გამო, ჰფიქრობს, რომ შეცდომა ჩაიდინა გერმანიის პუბლიცისტიკამ და ამბობს: „ჩვენ ძლიერ შეგვაწუხებდა რუსეთგერმანიის დამოკიდებულებათა თანდათანი გართულებაო".

„ტეგლიშე-რუდშაუ" ხაზ-გასმით ამტკიცებს, რომ გერმანიის პრესა მეგობრულადაა განწყობილი რუსეთისადმი, იგივე შეიძლება რუსეთქვას რუსეთის პრესის შესახებ. სეთის მოქმედებაზეა დამოკიდებული, კვლავ გაცოცხლდება თუ არა ლეგენდა რუსეთ-გერმანიის მეგობრობისა. „დეიშე ცაიტუნგი" კითხულობს: როგორ შეუთანხმდეს „როსიას" წერილი „ბირჟევაია ვედომოსტის" ბრძოლის კილოს; გაზეთი გამოსთქვამს სურვილს, მოისპოს ასეთი ორპირობა, რომელიც შეშფოთებას იწვევს.

**პარიზი.** „ბირჟევაია ვედომოსტის" წერილი და საზონოვის საუბარი თანამშრომლებთან სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი ფრანგულ პრესაში საფრანგეთის საზოგადოება დიდის კმაყოფილებით მსჯელობს იმათ შესახებ, მიაჩნიათ დამამტკიცებლად რუსეთის საომარ სიძლიერისა და მშვიდობიანობის მოყვარულისა. აგრეთვე ამ წერილების აუღელვებელი კილო საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ გერმანიის პრესაში დაწყებულ კამპანიის ასალაგმავად. რადიკალების ოფიციალურ ორგანო „ლე-რადიკალი" სწერს, საფრანგეთი გახარებულია რუსეთის განცხადებით, რომ თუმცა მას მშვიდობიანობა ჰსურს, მაგრამ ამავე დროს ომისათვისაც მზადააო. „ტან"-ი მეთაურში ამტკიცებს, რუსეთისა და და საფრანგეთის მხრივ შეიარაღებულ ჯარების გადიდება გამოწვეულია გერმანიის ჯარების გადიდებით; მათი მოქმედება სიფრთხილის ზომაა და არა პროვოკაციისა. გერმანია უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ რუსეთი და საფრანგეთი არ დასთმობენ თავიანთ ადგილებს სახელმწიფოთა შორის. „ჟურნალ-დე-დება" აღნიშნავს, რუსეთ-გერმანიის ინციდენტი საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი სამხედრო ძალაზე უნდა იყვეს დამყარებულიო.

**ბერლინი.** „პოსტ"-ი ეხება „ალგემაინე ცაიტუნგის" და „როსიის" წერილებს, და ჰფიქრობს, რომ ორთავეს შინაარსი იმდენად წყალ-წყალაა, რომ ღრმა შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. ტრადიციულ მეგობრულ განწყობილებათა შესახებ ფრაზას გერმანიაში გადაჭარბებულად ხმარობენ, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია,—არ მოიპოვება ორი სახელმწიფო, რომელთა შორის მეგობრული დამოკიდებულება უფრო ადვილი საქმე იყვეს, ვიდრე რუსეთ-გერმანიას შორის. მიუხედავად ამისა რუსეთი ისეთ მოვლენებს ექვემდებარება, რომელნიც მუდამ და ყველგან სცდილობენ გერმანიის წინაშე დაბრკოლებათა აღმართვას. „ბერ. ზენ-კურიერი" ამბობს: გერმანიის მთავრობა გულდამშვიდებით უცქერდა პრესის ამხედრებას და სიამოვნებით რწმუნდოდა, რომ მას შეუძლიან იმედი იქონიოს ხალხის ერგულებაზე, ნამდვილი ხიფათის დროს. მიუხედავად იმისა, რომ „ალგემაინე ცაიტუნგში" დაბეჭდილ წერილით მთავრობამ შესცვალა თავისი პოზიცია, მაინც საჭიროა თუმცა გვიან, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ნება დართოვა ისეთი პოლემიკისა, რომელსაც არავითარი მიუდგომელი საფუძველი არ აქვს, და ხალხში შიშს იწვევს, ცეცხლთან თამაშობას წააგავს, საქებარია ის გადაწყვეტილება, რომლითაც მთავრობამ უკუაგდო უპასუხისმგებლო ნაციონალისტების გამოსვლა. „ტაგი" სწერს: ფაქტია, რომ ბერლინსა და პეტერბურგს შორის გრძნობენ გაცილებით მეტს მტრულს დამოკიდებულებას ვიდრე წინედ, ამისი უარჰყოფა შეუძლებელია. ოსმალეთში გერმანიის სამხედრო მისიის საკითხის გამო რუსეთის გაუგებარმა ყოფა-ქცევამ ერთი მხრით გამოიწვია უკმაყოფილება, მაგრამ ასეთს გაუგებრობის გამო ომის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია. ახალი საუკეთესო სავაჭრო ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს საუკეთესო საშუალებად გერმანია-რუსეთის დამოკიდებულებათა წესიერ დონეზე დასაყენებლად.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**1 მარტი.**

**უცხოეთი.**

**რომი.** მეფემ სონინოს წინადადება მისცა კაბინეტის შედგენისა. სონინომ უარი განაცხადა აწინდელი პარლამენტის მდგომარეობის გამო.

**ტრიესტი.** უმაღლესს კომერციულ ინსტიტუტში შეტაკება მოხდა იტალიელსა და სლავიან სტუდენტთა შორის. უკანასკნელთ რევოლვერები ისროლეს, რომლითაც მძიმედ დასჭრეს სამი იტალიელი. რამდენიმე მათგანი დაატუსაღეს.

**ტოკიო.** ზედა პალატამ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 70 მილიონით შეამცირეს. სამინისტრო კრიზისი საზღვაო მინისტრის გადადგომით დასრულდება.

**ტოკიო.** ზედა პალატის წევრი მურატა, რომელიც იმამატოს წინაალმდეგ სასტიკი ბრალდებით გამოვიდა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, ურჩევდა ამ უკანასკნელს ხარაკირისთვის მიემართა ფლოტში აღმოჩენილ ბოროტმოქმედების. გამო ვიკერსის წარმომადგენელი ვინდერი ვლადივოსტოკში იმალება, არ დამიჭირონო. პორტ-არტური მეორე ხარისხოვან სამხედრო ნავთსადგურად გამოაცხადეს და სასებოს დაუქვემდებარეს.

**პეკინი.** „თეთრი მგლების" ბრბო ანხოეს პროვინციიდან ჯარს გაუსხლტა და ხუდანში მივიდა. მათს წინააღმდეგ ჯარი გაიგზავნა ხუბეისა, ხუდახისა და შენსიდგან.

**თეირანი.** დღეს მოდის ოსმალეთის ახალი ელჩი გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი ასიმ-ბეი.

**ვენა.** უკანასკნელ დღეებში იტალიელ და სამხრეთ სლავიან სტუდენტთა შორის შეტაკება მოხდა იტალიურ იურიდიული ფაკულტეტის დაარსების გამო. შეტაკებამ იტალიელების დიდი დემონსტრაცია გამოიწვია. დემონსტრაციის დროს საზეითლო ინსტიტუტის ახლოს ხმლით დასჭრეს 15 სტუდენტი.

ჩეხელმა აგრარიებმა და რადიკალებმა დეპუტატთა პალატაში ობსტრუქცია განაგრძეს. სხდომის შეწყვეტის დროს, დროებითი შეთანხმება მოხდა. სხდომის განახლებისას დაიწყეს კითხვა ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა რიცხვის გადიდების კანონ-პროექტისა.

**ლონდონი.** სუფრაჟისტკები ძალიან დაინტერესებულნი არიან იმით, თუ კაპის პარლამენტი რა გადაწყვეტილებას დაადგება ქალთა საარჩევნო უფლების საკითხში.

**ვენა.** „კორესპონდენტ-ბიუროს" ატყობინებენ ვალონიდგან, 600 ჟანდარმი გაიგზავნა აგრირაკასტროში. მეორე რაზმი, 300 კაცი, დურაცოდან მოვიდა და გაიგზავნება სამხრეთ ალბანეთის დასაჭერად.

**ბელგრადი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს დიბრიდგან ატყობინებენ, რომ ალბანელი არნაუტები სერბიის ჟანდარმთა ყარაულს დაეცნენ. ერთი ალბანელი მოუკლავთ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის შეკითხვაზე დეპუტატ შვიხას საქმის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობას უფლება არა აქვს ფარულ პოლიციის მიერ მიღებული ცნობები გამოაქვეყნოს, თუნდაც ის ცნობები დეპუტატს შეეხებოდესო.

**ლონდონი.** ჩერჩილმა თავის სიტყვაში, რომელიც რედფორდში წაიკითხა, განაცხადა, რომ ასკვიტის წინადადება ჰომრულის საკითხის შესახებ დიდი ნაბიჯია, და უკანასკნელიც, რომელიც კი მთავრობას შეეძლო გადაედგა. თუ ულსტერი ამ წინადადებით არ დაკმაყოფილდება და რევოლიუციით იმუქრება, ჩერჩილი მოუწოდებს, მუქარისა ნუ შეგეშინდებათო.

**ათინა.** ალბანელებმა გორიდან აიკლეს სოფლები ველიტერნი, სლიცინია, სივიანი და იერიში მიიტანეს ზიმიცაზე. მოლიკაში მოხდა შეტაკება ესად-ფაშასა და ქემალის მომხრეთა შორის. ესად-ფაშის წინადადებით 100 ჟანდარმი ჰოლანდიელ აფიცრების მეთაურობით გაემგზავრნენ სტაროვის დასაპყრობად. ჰოლანდიის აფიცრები ტყვედ წაიყვანეს. კორიციდან მაშველი ჯარი მოითხოვეს. სამი დღის განმავლობაში შეტაკება ხდებოდა სოვიანის ახლო კორიცის ალბანელ ჟანდარმერიასა და სხვა და სხვა ბრბოებს შორის. პოლკოვნიკმა ტომპსონმა დაიყოლია, ნება დაეყოთ მისთვის ზოგრაფს მოლაპარაკებაზე.

**ლონდონი** ექვსმა სუფრაჟისტკამ შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარის მაკენის ფანჯრები ჩაამტვრია, რის გამოც ისინი ორი თვით ციხეში ჩასხეს. სხვა სუფრაჟისტკებმა ღამე ბირმინგემის ახლო ლაუნ-ტენის კლუბის შენობა დასწვეს. მისტრის პანკჰერსტი, რომელმაც სატუსაღოში შიმშილი გამოაცხადა, გაანთავისუფლეს.

**2 მარტი.**

**ტოკიო.** აკიტში დიდი მიწის ძვრა იყო. ტელეგრაფი აღარ მუშაობს.

**ადენი.** გუშინ ღამით დავრიშები ბერბერში ბაზარს დაეცნენ. დაჭრილი ბევრია. პოლიცია უშედეგოდ დაედევნა დავრიშებს, რომლებმაც გაქცევის დროს რამდენიმე სოფელი დასწვეს. როგორც ამბობენ ოცი ვერსის სიშორით დიდი აჯანყება დაწყობილა.

**რუსეთი.**

**ქარიშხალი.**

**ბერდიანსკი.** ქალაქზედ ქარიშხალმა გადაიარა. ქალაქის დაბლობ ადგილებში წყალი გადავარდა, რამდენიმე შენობა დაანგრია.

**ნოვოჩერკასკი.** ქარიშხალმა გადაიარა. ბევრი სახლის სახურავი აგლიჯა. რამდენიმე კაცი დაჭრილია, ერთი მოკვდა.

**ცარიცინი.** საშინელი ქარიშხალი მძვინვარებს. ტელეგრაფი და ტელეფონი დაასწყვიტა. მატარებლები იგვიანებენ.

**ანტარსკი.** საშინელი ქარიშხალი მძვინვარებს.

**ბათომი.** ზღვაზედ საშინელი ქარიშხალი და ღურსია.

**ნოვოჩერკასკი.** სამ საათამდე ქარიშხალმა ბევრი სახლის სახურავი და ღობე მოგლიჯა. ორს ეკლესიას ჯვრები მოგლიჯა. ბევრ ადგილას ტელეგრაფი დაწყვიტა. მატარებლები იგვიანებს.

**ბახმუტი.** გაზაფხულის ტაროსს საშინელი ქარიშხალი მოჰყვა. ქალაქში მრავლად ჰყრია დაგლეჯილი ხეები და ღობეები. ტელეფონის ბოძები დაჰგლიჯა. გზებზე თოვლის ნამქერია.

**გირსკი.** ქარიშხალმა დიდი უბედურება მიაყენა, წყლის გამო ქალაქკოსის მცხოვრებნი რკინის გზის სადგურს მოსწყვიტა, სახლის სახურავი და ღობეები დაგლიჯა, ნავთსადგურში ბევრი ხომალდი დაამტვრია.

**ასტრახანი.** საშინელმა ქარიშხალმა სახლის სახურავი და ღობეები დაგლიჯა, აუარებელი ხეები ფესვიანად ამოგლიჯა მიწიდგან, ტელეგრაფი გააფუჭა, ვოლგაზედ ხომალდები დაამტვრია. ხმებია, ბევრი ხალხი დაშავდაო.

**დონის-როსტოვი.** საშინელმა ქარიშხალმა ბევრი უბედურება მოახდინა. სახლების სახურავები მოგლიჯა, ტელეგრაფისა და ტელეფონის მოქმედება შესწყდა.

**სევასტოპოლი.** ზღვაზე ქარიშხალია. გემებთა მიმოსვლა შეჩერებულია.

**ფეოდოსია.** მთელს სამხრეთზე საშინელი ქარიშხალია. აზოვის პორტიდგან ატყობინებენ, ქარიშხალი წამში 32 მეტრს მიდიოდა, ტემრუკს სამი გემი ქარს ხმელეთზედ გადმოუგდია.

**პეტერბურგი** სასამართლო პალატამ პროფესორ ბოდუენ-დე-კურტენეს 129 და 1034 მუხლებით ორი წლის ციხე გადაუწყვიტა წიგნისთვის „ავტონომიის ნაციონალური და ტერიტორიალური ნიშნები."

**ვარშავა.** ჩამონგრეული სახლი სულ გადათხარეს. იპოვეს კიდევ ერთი გვამი. სულ 11 მსხვერპლი იყო. აქედგან 5 გვამი ამოიღეს.

**პეტერბურგი.** დაიწყო სრულიად რუსეთის სატუსაღო მოღვაწეთა მეორე კრება. კრება ოთხს სექციად გაიყო: სატუსაღო ჰიგიენა და მეურნეობა, ტუსაღების მუშაობა, სატუსაღოთა შენობა, სატუსაღოს რეჟიმი.

**ბაქო.** მუსულმან-სახლის პატრონთა ბრბო რიცხვით 3000 კაცი ქალაქის საბჭოს შენობაში შეცვივდა და სხდომა შესწყვიტა. ისინი თხოულობდნენ, რომ მათი მოსახლეობა ქალაქის ადგილებიდგან არ აჰყარონ. პოლიციამ ისინი გაჰფანტა,

**ეკატერინოსლავი.** ქარიშხალმა ტელეგრაფისა და ტელეფონის მართულები დასწყვიტა. მიმოსვლა ნიკიტოვკა - კონსტანტინოვკას შუა შეწყდა.

**2 მარტი.**

**შემახა.** გუშინ დილიდანვე ყვითელი სქელი ბურუსი ჩამოაწვა ქალაქს და მის მიდამოებს. მოდიოდა ტალახიანი წვიმა. დამწვარის სუნი იდგა.

**კავკავი.** 28 თებერვალს დღის პირველ საათიდან ქალაქს არტყია ბურუსი და მტვერი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოტანილი. საღამოთი თოვლი მოვიდა, რომელმაც ნელნელა ჰაერი გასწმინდა. ტელეგრაფი არა მუშაობდა.

**გროზნა.** დღის პირველ საათზე ქარიშხალმა გადაიარა. ცა წითელი ღრუბლით მოიცვა. ისე ბნელოდა, როგორც მზის დაბნელების დროს.

**ნოვოჩერკასკი.** ქარიშხალის შემდეგ, ქარ-ბუქი ადგა. მოსკოვიდან წარმოსული ჩქარი მატარებელი თოვლში ჩაიფლო და დაიგვიანა 9 საათს. სოფ. კასპუვის ნახევარი დაიწვა.

**ეკატერინოდარი.** ქარიშხალის გამო აზოვის ზღვის ნაპირებზე წყალმა 4 ადლით აიწია. აჩუევისა და თასენის კონცხები წყალმა დაჰფარა. აჩუევის კონცხზე 1000 კაცზე მეტი დაიღუპა, იასენისაზე—150 კაცი. ჩერნომორის გზაზე ვაგონები და ორთქლმავალი გადაბრუნდა. აჩუევის კონცხზე 380 შენობა დაინგრა. 28 თებერვალს დილით პრიმორსკო-ახტარის სტანიცის ახლო აქ 200 მუშა წყალმა ზღვაში შეიტანა და სულ ყველა დაახრჩო.

**ასტრახანი.** გუშინდელმა ქარიშხალმა ვოლგაზედ ოთხი ხომალდი და ორი ორთქლმავალი დაღუპა.

**ტემირ-ხან-შურა.** 16 საათის განმავლობაში ქალაქში მძვინვარებდა ქარიშხალი, რომელმაც ქუჩები მტვრით აავსო. დღისით ისე ბნელოდა, რომ სახლებში სანთელზე მუშაობდნენ. უბედურება არ მომხდარა რა.

**ტემრიუკი.** დუღაბის დამბა დაინგრა. წყალმა ქალაქის დიდი ნაწილი დაჰფარა. ადამიანთა მსხვერპლიც არის. ხუტორ რომანოვსკაში ქარიშხალმა ბევრი სახურავი მოგლიჯა.

**ცარიცინი.** საშინელმა ქარიშხალმა ბევრი შენობა დაანგრია და მატარებლები შეაჩერა.

**ვარშავა.** დანგრეულ სახლის გათხრის დროს ამოიყვანეს შვიდი ცოცხალი, რომელთაგანაც ერთი მოკვდა. ამოიღეს სამი მუშის გვამი, ერთი მეზობელ ქალის გვამიც.

**პეტერბურგის.** სამკურნალო საბჭომ სასურველად სცნო, რათა რუსეთში რადიოლოგიური ინსტიტუტი დაარსდეს.

**2 მარტი.**

**ჰოლსინგფორსი.** დღეს დილით სარკინისგზო მოედანზე სოციალ-დემოკრატების მიტინგი გაიმართა, რომელმაც პროტესტი განაცხადა პურზე ბაჟის დადების წინააღმდეგ, რაც ეხლა აზრადა აქვთ. 4000 სოციალ-დემოკრატი შეიკრიბა დროშებითა და ორკესტრით. სიტყვების გათავებისას, ქალაქის უმთავრეს ქუჩებზედ გაიარეს. ამგვარი მიტინგები სხვა ქალაქებშიაც გაიმართა.

## მომგებიან ბილეთების ტირაჟი

**პეტერბურგი.** ორასი ათასი მანეთი ერგო: სერია 13064, ნომერი 32. სამოცდა თხუთმეტი ათასი: 8761/39. ორმოცი ათასი: 2949/7. ოცდა ხუთი ათასი: 18807/23. ათი ათასი: 12310/33; 4646/13; 9759/45; რვა ათასი: 15248/30 17398/35; 16011/10; 3981/18; 7046/46. ხუთი ათასი: 8963/25. 7687/36. 16346/10. 10803/23. 11545/25. 5721/14. 15941/23. 14658/44. ათასი მანეთი: 15055/47; 14629/39; 10822/8; 18075/23; 18884/36; 12812/48; 19574/38; 9333/30; 15792/50; 10697/6; 67/45; 1265/21; 7949/43; 14579/7; 7925/39; 10345/4; 14221/43; 16642/46; 11233/9; 6292/39.

## თეატრი და ხელოვნება

**ხაშური.** სტ. ნოზაძის ბენეფისი. შაბათს, 1 მარტს ხაშურის დრამ. წრემ, დამსახურებულ სცენის მოყვარის ბ. სტეფანე ნოზაძის საბენეფისოდ გამართა ფრიად საინტერესო წარმოდგენა, სალიტერატურო განყოფილებით.

ბ. ნოზაძე (ფონ-ტეფო) 25 წელიწადია, რაც დაუღალავად და გულმოდგინედ ემსახურება ხაშურის სცენას. ის იყო მისი სულის ჩამდგმელი ამ დიდი ხნის განმავლობაში და ამიტომ ხაშურის საზოგადოება მას დიდ პატივს სცემს.

მისმა ბენეფისმა ამ დღეს მისი სასცენო მოღვაწეობის იუბილეს ხასიათი მიიღო. მის პატივსაცემლად აუარებელ ხალხმა მოიყარა თავი და ყოველ მის გამოსვლას დაუსრულებელი ტაშის ცემით ეგებებოდნენ.

მობენეფისეს მიუვიდა მისალოცი ადრესები, დეპეშები, წერილები და ბევრი ძვირფასი საჩუქრები: ხაშურის გიმნაზიელებისაგან, სცენის მოყვარეებისგან, ნოქარ-ვაჭრებისგან დ სხ. (ნივთები) და ბ. მანჯავიძესგან (ფულად).

ბ. იოს. ფანცულაიამ მოკლე და შინაარსიანი სიტყვით გააცნო დამსწრე საზოგადოებას მობენეფისის დაუფასებელი ღვაწლი ხაშურის სცენის წინაშე. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. წარმოადგინეს გულისაშვილის 4 მოქ. დრამა: „ცხოვრება ბრძოლაა".

თვით მობენეფისემ დაკვირვებულად შეასრულა ჩაჩიკას როლი. ნიჭიერ ახალგაზდა სცენის მოყვარემ, ბ. გ. სულიაშვილმა მშვენივრად დაგვისურათა ბრწყინვალე იდეალებით აღჭურვილი, მაგრამ ჭლექით შეპყრობილი სტუდენტი ეგნატე მალალაძე.

კარგნი იყვნენ თავიანთ როლებში: ქ.ქ. ს. ტატიშვილი (თამრო), თ. დავიდოვი (ტერეზია), თ. აფხაზიშვილისა (მარიამი), ე. ნოზაძე (ძიძა); ბ. ბ. გ. ჯაფარიძე (ლევანი), რომელმაც თავისი მოხდენილი თამაშით ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება; გ. ვეზირიშვილი (რამაზ), მ. კვალიაშვილი (მოურავი), ა. ჭელიძე (თავ. ვარამ) და ა. კორძაია (ბესიკა).

სალიტერატურო განყოფილებაში სტ. ნოზაძემ მოხდენილად წაიკითხა საკუთარი ლექსები.

ბ. იოსებ ფანცულაიამ წაიკითხა: „სამშობლო"—ლექსი დუტუ მეგრელისა და „გუთნის დედა"—ალ. ყაზბეგისა.

წარმოდგენით კმაყოფილი საზოგადოება, ღამის ორ საათზე დაიშალა.

მადლობის ღირსი არიან ადგ. სცენის მოყვარენი, რომელთაც დიდი შრომა გასწიეს ბენეფისის მოწყობაში. **ლი.**

## შემოწირულება

პატივცემულო რედაქტორო, გიგზავნით 3 მან. აქედან ერთი მანეთი გადაეცით ირ. ევდოშვილს, ერთი მან. ილიასეულ სახლის გამოსასყიდად და ერთი მან. არ. ჯორჯაძეს ძეგლისათვის.

**გ. ბურჭულაძე.**

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) გენერალ-მაიორმა გიორგი ივანეს ძემ მუხელიშვილმა: ა) ღრამატიკა ანტონ კათალიკოზისა, შემომწირველის მამის ხელით გადაწერილი 1815 წელს, აგვისტოს 23-ს, ბ) საქართველოს გაზეთი 1819 წლისა და გ) ორი სიგელი.

2) ივანე იოსების ძემ კეზელმა: ჩრინჯაოს ირემი, ნაპოვნი ახალქალაქის მიდამოებში, ფავნისის ეკლესიის მახლობლად, მიწაში.

3) გიორგი კონსტანტინეს ძემ თარაშვილმა: ლეჩაქის პრესის ერთი ფიცარი.

4) ნინო იოსების ასულმა ბადურაშვილმა: ა) მეტაფრასი ხვთიშობლის მიძინებისა, მხედრული ხელნაწერი და ბ) ერთი შავი ფული.

5) გიორგი წინამძღვრიშვილმა: სასანიდების ფული, თეთრი.

6) ივანე დიმიტრის ძემ ვაჩნაძემ: ირაკლი მე-2-ის თეთრი ფული.

7) გრიგოლ ადამის ძემ ყარანგოზიშვილმა და გიორგი გრიგოლის ძემ საყვარელიძემ თითო-თითო მანათი.

8) იოსებ ქრისტეფორეს ძემ მამაცაშვილმა, გიორგი პავლეს ძემ თუმანიშვილმა და გრიგოლ სვიმონის ძემ ქიქოძემ სამ-სამი მანათი.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქ. შ. წ.-კ. ს. გამგეობას ერთი თუმნის წიგნების შემოწირვისთვის ჩემდამი რწმუნებულ ს. ქვემო-ხვითის (გორის მაზრა) სასწავლებლის ბიბლიოთეკისთვის. აგრეთვე ბ-ნ ი. ავალიშვილს ერთ ცალ წიგნის (მალაროთა მომუშავენი" ზოლასი თარგმანი ი. ავალიშვილისა) შემოწირვისთვის და თავად კონსტანტინე ნიკოლოზის ძე დიასამიძეს ერთი ძირი ფუტკრის შემოწირვისთვის.

ს. ქვემო ხვითის მასწავლებელი **ნ. უნაფქიშვილი.**

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სამ.** დილ. 8 ს. 2 წ № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

**ყარსისკენ:** **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.,** მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

# ექიმ ნავასარდიანცის

# პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დილით:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანცი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ამახარიძე:** 1—2 ს. -ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ბ. ა. ბაინანცევი:** 10—11 ს. სარძევით, ქალებისა ბავშვებისა.

**ბ. გ. ბენიამინოვი:** 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, აბაბაშვილი და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანცი.** 1071

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადმოვიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვორონცოვზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**ექიმი** ქალისა **ნინო რცხილაძე.** გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი** **მ. მუხელიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის $9—11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

# ტფ. მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისი

აუწყებს ქ. ტფილისის მდაბიო მოქალაქეებს:

1) ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა საზოგადოების **რწმუნებულთა** (დეპუტატების) სამის წლით (1914—1916 წ.) **არჩევა,** რიცხვით 100 კაცისა, რწმუნებულთა ამ წლის 24 იანვარს მომხდარ და ტფილისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ დადგენილების თანახმად, **მოხდება უბან და უბან:** 1 უბანში შედიან მდაბიო მოქალაქენი 1, 2 და მე-3 საპოლიციო უბნისა. მე-2-ში—4, 5 და მე-6 საპოლიციო უბნისა. მე-3-ში—7, 8 და მე-9 საპ. უბანისა, მე-4-ში—10, 11 და მე-12 საპოლიც. უბანისა. ამასთანავე ასარჩევი 100 რწმუნებული ასე ნაწილდება: 1 უბანი ირჩევს 18 რწმუნებულს, მე-2—28 რწმუნებულს, მე-3—32-ს, მე-4—22 რწმუნ.

2) ეს **არჩევნები მოხდება** მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის თავმჯდომარეობით, **ყოველ უბნისა ცალკე, მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოს დარბაზში** (დიდი მთავრის ქუჩა № 17), დილის 10 საათიდან **შემდეგ კვირა დღეებში:** I უბანში—(1, 2 დ 3 საპ. უბ.—18 რწმ.)—9 მარტს. II უბანში—(4, 5 დ 6 საპ. უბ.—28 რწმუნ.)—16 მარტს. III უბანში—(7, 8 დ მე-9 საპ. უბ.—32)—23 მარტს. და IV უბ. (10, 11 დ მე-12 საპ. უბ.—22 რწმ.) 30 მარტს.

აუწყებს რა მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისი, სთხოვს ქ. ტფილისის მდაბიო მოქალაქეთ, რომელთაც კანონიერი ხმა აქვთ ზემო აღნიშნულ არჩევნებში მონაწილეობისა, მონაწილეობა მიიღონ **საუბნო არჩევნებში იმის მიხედვით, თუ ვინ სადა ბინადრობს,** რისთვისაც სთხოვს, რაც შეიძლება დროიანად, **არჩევნებამდე ორი დღის წინ მაინც,** შეიძინონ შესასვლელი ბილეთები, ურომლისოდაც არჩევნების დარბაზში არავის შეუშვებენ. საარჩევნო კრებაზე შესასვლელ ბილეთებს იძლევიან მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოში ყოველ დღე, ამ წლის 3 მარტიდან დაწყებული, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმის გარდა.

ამასთანავე მდაბიო მოქალაქეთ ვაფრთხილებთ, რომ საარჩევნო კრებაზე მონაწილეობის მიღება კანონით ეკრძალებათ: ა) 25 წლისაზე ნაკლებთ, ბ) იმ პირთ, რომელთა სახ. დებულ. მე-582 მუხლის მე-15 დამატებით ეზღუდებათ უფლებანი, (კან. დებ. 1 ტომ., 1 კრებ. გამოც. 1889 წ.), გ) იმ პირთ, რომელნიც აქამომდე კამერალურ აღწერაში ან მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოს სიაში უწყებულის წესით არ არიან შეტანილი.

ამასთანავე ტფილისის მდაბიო მოქალაქეებს ვაუწყებთ, რომ 1) საარჩევნო კრებაზე შესასვლელ ბილეთების მიღების დროს, საჭიროა წარადგინონ ადგილობრივ პოლიციაში შემოწმებული პასპორტი, ან საადრესო სტოლის ოფიციალური ცნობა, რათა გამოირკვეს ნამდვილი ბინადრობა ამომრჩევლისა დ 2) არჩევნების დღეს ასეთს ბილეთებს აღარავის მისცემენ. 1091

# სანერგე

# ამერიკულ ვაზისა „კოლ-ეგრული" ქუთაისში

მუდამ რჩევას იძლევა ამა თუ იმ ნიადაგის შესაფერ ნერგის არჩევაში და მევენახეებს აფრთხილებს, რათა არ იხმარონ ნერგი **რუპესტრისი,** რომელიც ცუდად ხეირობს, მდარე ღვინოს იძლევა და ყველა სხვა დასამყნობ ნერგებზე უფრო მეტად სნეულდება სოკოს ავადმყოფობით,

**მუდამ მოეპოვება გასასყიდად**

წოლიკაური, კრახუნა, ციცკა, მწვანე, რქა-წითელი, საფერავი, ოცხანური და მრავალი სხვა ადგილობრივი და ევროპიული ჯიშის ნერგი (აგრეთვე პირდაპირი მომშენებელი გიბრიდი) სხვა და სხვა ნიადაგისათვის შესაფერ ძირზე ნამყნობი. სხვა და სხვა ჯიშის ვაზი ნერგი 1000 ცალი 65 მან. ღირს. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. 113

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძებელოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

# განყოფილება

**ავლაბარში**

**ფოსტის განყოფილების ძვეშ, საკუთარ სახლში.**

# იყიდება

**იმავე ხარისხის**

# საქონელი,

**როგორც პუშკინის ქუჩაზე.** 1081


ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.